



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

21 სექტემბერი, 2020 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი

10 ნოემბერი, 2020 წელი

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211359448
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამართალი
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სამართლის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამართალი 0421
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	241
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, 2011 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება №265

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ბოგვერაძე, სამართლის დოქტორი, კორმაძის საადვოკატო ბიუროს პარტნიორი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნონა ზუბიტაშვილი, სამართლის დოქტორი, საქართველოს ინოვაციების და

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	ტექნოლოგიების სააგენტოს უფროსი იურიდიული მრჩეველი, თბილისის ღია უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან მოსახლიშვილი, კავკასიის უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, სს საქართველოს ენერგეტიკის ფონდის დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ილია წიკლაური, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო პროგრამა უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამაა, რომელიც ხორციელდება ქართულ ენაზე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვრება როგორც „სამართლის ბაკალავრი“.

საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულია მასზე დაშვების წინაპირობები. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, კერძოდ, კურიკულუმი მოიცავს 241 კრედიტს (ერთი კრედიტი უტოლდება სტუდენტის დატვირთვის 28 საათს) და შედგება შემდეგი მოდულებისაგან: საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება - 50 კრედიტი; სამართლის ძირითადი განათლება - 149 კრედიტი (აქედან საბაზისო განათლება - 24 კრედიტი, საჯარო სამართალი - 34 კრედიტი, სისხლის სამართალი - 22 კრედიტი, კერძო და ბიზნეს სამართალი - 47 კრედიტი, პროფესიული უნარების განვითარება - 22 კრედიტი); სამართლის პრაქტიკული განათლება - 27 კრედიტი; სამართლის სავალდებულო არჩევითი საგნები - 12 კრედიტი; სამართლის ნებაყოფლობითი არჩევითი საგნები - 20 კრედიტი; ზოგადი პრაქტიკული განათლება - 3 კრედიტი. არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია არჩევითი სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობები და თანმიმდევრობა. პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას. პროგრამა შეიცავს სასწავლო გეგმას. სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტიდენტებისათვის, მათი არჩევის შემთხვევაში, დამატებით გათვალისწინებულია სასწავლო გეგმა ბიზნესისა და ფინანსების დამატებითი სპეციალობისა და სასწავლო გეგმა მართვასა და საჯარო პოლიტიკის დამატებითი სპეციალობისათვის, რაც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს, დაინტერესების შემთხვევაში, მიიღონ ცოდნა ბიზნესსა და ფინანსებში ან მართვასა და

საჯარო პოლიტიკის მიმართულებით. პროგრამის ანალიზის თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ შესაბამის დარგობრივ დისციპლინებში თეორიული ცოდნის მიღებასთან ერთად, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ განავითარონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები თითოეულ დარგობრივ დისციპლინაში როგორც სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული უნარების განვითარების კომპონენტის, ასევე სამართლის კლინიკებისა და იურიდიული პრაქტიკის მეშვეობით. ამ თვალსაზრისით - სტუდენტისათვის თეორიული ცოდნის გადაცემასთან ერთად განსაკუთრებული აქცენტირებით პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, მათ შორის კლინიკებში რეალურ საქმეებზე მუშაობის ფორმატში, პროგრამა გამორჩეულია და პასუხობს შრომის ბაზრის გამოწვევებს.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა 2020 წლის 21 სექტემბერს, ინტერვიუების პროცესი მიმდინარეობდა 10:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე, დისტანციური ფორმატით ელექტრონული კომუნიკაციების (პროგრამა ზუმით) საშუალებით. ვიზიტი გაიმართა კონსტრუქციულ გარემოში, ადმინისტრაცია მზად იყო თანამშრომლობისათვის, რაც გამოიხატა როგორც ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხების განმარტებისა და სხვადასხვა პანელზე მონაწილე პირების დასწრების უზრუნველყოფის, ასევე ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენაში.

პირველ პანელში ინტერვიუ შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. განმარტებული იქნა უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან, პროგრამის შემუშავებასა და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტები.

ვიზიტის მომდევნო პანელი დაეთმო თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრას და განმარტებული იქნა სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციისათვის მომზადების პროცესი და მასში სხვადასხვა პირთა ჩართულობა.

ვიზიტის მესამე პანელში ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელთან და განმარტებული იქნა პროგრამასთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი ასპექტები.

მომდევნო პანელი დაეთმო შეხვედრას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, დისტანციურად განხორციელდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება და შემდგომ შედგა შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დამოუკიდებელ პანელებში. მომდევნო პანელების ფარგლებში ინტერვიუები ჩატარდა პროგრამის სტუდენტებთან, პროგრამის კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებსა და სტაჟირების განმახორციელებლებთან.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაუზიარა სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესახებ ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სამართლის საბაკალავრო პროგრამა შემოწმდა აკრედიტაციის სტანდარტებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით. პროგრამის აკრედიტაციის მიზნით უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ჩატარებული ვიზიტის შედეგების განხილვისა და გაანალიზების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი მივიდა დასკვნამდე,

რომ პროგრამა მეტწილად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ, I სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, II სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, III და IV სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, და V სტანდარტი ნაწილობრივ არის სტანდარტებთან შესაბამისი. აღნიშნულის გათვალისწინებით, განისაზღვრა გარკვეული საკითხები, რომლის გათვალისწინებაც მიზანშეწონილია პროგრამის სათანადო ფუნქციონირებისა და მისი შედეგების მისაღწევად.

▪ რეკომენდაციები

- მიზანშეწონილია, დოკუმენტურად აისახოს უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი და ანალიზის შედეგების მიხედვით პროგრამაში განსახორციელებელი/განხორციელებული ცვლილებები. სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი, სამიზნე ნიშნულებთან დადარება, პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების ანალიზის განხორციელება შესაბამისი შემაჯამებელი ან პერიოდული დოკუმენტების მეშვეობით მიზანშეწონილია სწავლის შედეგების მიღწევის, სრულყოფილი ანალიზისა და პროგრამის გაუმჯობესების შესაბამისი ქმედებების დაგეგმვა/განხორციელებისათვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მიერ ანალიზის ეფექტურად განხორციელებას, ინფორმაციის თავმოყრას და გამოვლენილი ხარვეზების შესაბამისად ცვლილებების საჭიროებებს, არსებობის შემთხვევაში.
- აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის შემუშავებასა და შემდგომ განვითარებაში მოქმედი სტუდენტების ეფექტური ჩართულობის ღონისძიებები.
- მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სილაბუსების მუდმივი გადამუშავება როგორც მასალის განახლების, ასევე მოცულობის კუთხით და ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფის მიზნით.
- მიზანშეწონილია, მოხდეს დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, დამსაქმებლებთან გაფორმებულ სხვადასხვა ტიპის შეთანხმებებში სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობის, პრაქტიკის ხანგრძლივობის და მიზნობრიობის განსაზღვრა.
- მიზანშეწონილია, სილაბუსებით გათვალისწინებული მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა დარგობრივი მახასიათებლებით გათვალისწინებულ მეთოდებსა და სწავლება-სწავლის პროცესში გამოსაყენებელ აქტივობებთან.
- მიზანშეწონილია სილაბუსებში მკაფიოდ და ამომწურავად იყოს გაწერილი შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. სტუდენტს უნდა ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია, თუ როგორ, რა კრიტერიუმებითა და მეთოდებით შეფასდება.
- მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების შედეგების გასაჩივრების ეფექტური, სამართლიანი და მიუკერძოებელი მექანიზმის არსებობა.
- საბაკალავრო პროგრამის სტანდარტის დაკმაყოფილების მიზნებისათვის მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა იზრუნოს გარე ხარისხის შეფასებაზე, რათა

პროგრამა ფასდებოდეს მესამე პირის მხრიდან პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

- მიზანშეწონილია, დაიხვეწოს უსდ-ის მიერ სტუდენტთა გამოკითხვის ჩატარების წესი და მეთოდოლოგია, რათა ის ასახავდეს რეალურ სურათს და მოხდეს ამ შედეგების ანალიზი
- მიზანშეწონილია, შეიქმნას პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგებისა და ამ შედეგების გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტი.
- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
 - სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. ამ თვალსაზრისით უნივერსიტეტს ექნება მკაფიო ხედვა და სტრატეგია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშუალოდ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით და უფრო ეფექტურად მოახდენს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას დაგეგმილი სტრატეგიისა და ეტაპების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
 - ზოგადი საუნივერსიტეტო განათლების კომპონენტში შემავალ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით სასურველია, ჩატარდეს სტუდენტების საჭიროებების და არსებული გამოწვევების კვლევა. ამგვარი კვლევის შედეგების გათვალისწინებით დაიგეგმოს ამ კომპონენტის მოდიფიკაცია/განვითარება.
 - საბაკალავრო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი უფრო მეტად იყოს სპეციალიზირებული საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებით.
 - სასურველია, სტუდენტის პირადი ელექტრონული გვერდი აღიჭურვოს ისეთი საჭირო ფუნქციით, როგორიცაა ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან მიმოწერის ფუნქცია.
 - ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში, სტუდენტთა მხრიდან პედაგოგების შეფასება ხორციელდება მიზერულ შემთხვევებში. მაგალითად, 58 სტუდენტიანი ჯგუფიდან მხოლოდ 3-მა განახორციელა პედაგოგის შეფასება. შესაბამისად, სასურველია ისეთი მექანიზმის დანერგვა, რომელიც გაზრდის პედაგოგების შეფასებაში ჩართული სტუდენტების რაოდენობას, შესაბამისად ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მხრიდან აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
 - სასურველია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს ისეთი ვერსია, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტების უფრო ფართო რაოდენობას ისარგებლოს ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე შინიდან.

- სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოიყენება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;
- სასურველია, მოხდეს მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენება, რათა განხორციელდეს პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
 - განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პროგრამაში ინტეგრირებული ე.წ. live client-ზე დაფუძნებული სამართლის კლინიკები (ბიზნეს სამართლის, სისხლის სამართლის, საკონსტიტუციო სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის კლინიკა), რომლებიც სამართლის პრაქტიკული განათლების მოდულის შემადგენელი ნაწილია და ეფექტურად ემსახურება სტუდენტების მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად განხორციელების უნარების განვითარებას სამართლის შესაბამისი მიმართულებით და სტუდენტების მიერ გამოცდილების მიღებას რეალურ საქმეებზე მუშაობის პროცესში.
 - USAID-PROLoG-ის ფინანსური მხარდაჭერით, სამართლის სკოლა ახორციელებს სამეცნიერო კვლევებს, ატარებს საჯარო ლექციებს, აკადემიურ კონფერენციებს, ადამიანის უფლებათა საუნივერსიტეტო კვირეულს, იმიტირებულ პროცესებსა და შეჯიბრებებს, უცხოური პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორებთან და სტუდენტებთან დისკუსიებს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის “ამიკუსების” შემუშავების მიზნით. ამ პროგრამის ბენეფიციარები თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორებისა და სტუდენტების გარდა ასევე არიან სხვა უნივერსიტეტის პროფესორები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული მხარეები.
 - სტუდენტთა დეკანი, სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახური და აღნიშნული სამსახურის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ოფისი წარმოადგენს აკრედიტაციის აღნიშნული სტანდარტის პრაქტიკაში განხორციელების გარანტს.
 - მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტში გამოყოფილია საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი სპეციალური სივრცე, რომელშიც სტუდენტს შეუძლია მოცდა ლექციათა შორის შუალედში. ასევე უნივერსიტეტში მისასალმებელია, სპეციალური სტუდენტთა საკონსულტაციო-სამუშაო სივრცე (რომელიც პანდემიასთან დაკავშირებით დროებით არ მუშაობს), რომელშიც სტუდენტს შეუძლია სხვადასხვა პროექტებზე მუშაობა, ჯგუფური შეხვედრების ორგანიზება და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება.
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- სამართლის საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით. უნივერსიტეტმა შეასრულა აღნიშნული გადაწყვეტილებისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად განსაზღვრული რეკომენდაციები, კერძოდ, ზოგადი განათლების საუნივერსიტეტო საგნების კომპონენტი (70 ECTS) შეიცვალა საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების კომპონენტად (50 ECTS), გაიზარდა სახელმწიფო მოწყობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების შესახებ საკონსტიტუციო სამართლის სწავლების მოცულობა, 4 ECTS-და 8 ECTS-მდე; პროგრამას დაემატა სამართლებრივი წერისა და პროფესიული ეთიკის კურსი (რომელიც შემდგომ მოდიფიცირდა იურიდიული ეთიკის სასწავლო კურსად); გაიზარდა არჩევითი საგნების რაოდენობა. ამასთან, სამართლის ძირითადი საგნების მოდულს დაემატა შრომითი ურთიერთობების სამართლის კურსი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს თავისუფალი უნივერსიტეტის (შემდგომში „უსდ“ ან „უნივერსიტეტი“) დამფუძნებელია საქველმოქმედო ორგანიზაცია ა(ა)იპ „ცოდნის ფონდი“. უნივერსიტეტს არ ჰყავს კერძო ან ინსტიტუციური ბენეფიციარები, უსდ-ს სტრატეგიისა და ხედვის თანახმად, უნივერსიტეტის ბენეფიციარები თავად განათლების უფლებით მოსარგებლე სუბიექტები არიან, ქვეყანაში განათლების დონის გაუმჯობესების გზით კი - საზოგადოება (იხ. უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვისა და გეგმის დოკუმენტი, 2018 წელი, გვ. 6). უნივერსიტეტს ავტორიზაცია მიენიჭა საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 აგვისტოს N52 გადაწყვეტილებით.

უნივერსიტეტის მისიის თანახმად, უსდ-ს ორიენტირი სტუდენტების ინტერესები და მათი შემდგომი წარმატებაა. უსდ-ს ხედვის თანახმად კი, უნივერსიტეტის პროგრამები ეფუძნება ლიბერალური განათლების პრინციპებს, სტუდენტებს უვითარებს შემოქმედებით და კრიტიკულ აზროვნებასა და პრაქტიკულ უნარებს (იხ. უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვისა და გეგმის დოკუმენტი, 2018 წელი, გვ. 8).

უნივერსიტეტის მისიას, შექმნას საქართველოში სწავლის, სწავლებისა და კვლევის საუკეთესო გარემო და უზრუნველყოს მისი ხელმისაწვდომობა გამორჩეული ახალგაზრდებისთვის; ჩამოუყალიბოს სტუდენტებს თავისუფალ და კრიტიკულ აზროვნებაზე დაფუძნებული ღირებულებები, რაც მათ დაეხმარებათ სხვადასხვა გარემოში ორიენტირებასა და ადაპტირებაში, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებასა და იმ გამოწვევებისადმი შემოქმედებით მიდგომაში, რომელთაც მათ თანამედროვე, სწრაფად ცვალებადი სამყარო სთავაზობს. ამასთან, უნივერსიტეტი ორიენტირებულია ქართული ენის, როგორც სამეცნიერო და საკომუნიკაციო ენის განვითარებაზე ქართულ ენაზე სწავლებისა და სწავლის გზით (იხ. უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვისა და გეგმის დოკუმენტი, 2018 წელი. გვ. 6-8).

უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვისა და გეგმის დოკუმენტის თანახმად, რასაც ასევე, ხაზი გაესვა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან ინტერვიუს პროცესშიც,

უნივერსიტეტი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დონეზე:

- ესმოდეთ, რა არის ბუნება, საზოგადოება, ადამიანი და ხელოვნება;
- შეეძლოთ რაოდენობრივი აზროვნება, საკუთარი აზრის პროფესიული და აკადემიურად გამართულად ზეპირად და წერილობით გადაცემა, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება, მორალური ღირებულებების საფუძველზე ეთიკური გადაწყვეტილებების მიღება;
- იყვნენ ტოლერანტულნი და შეეძლოთ სამყაროსა და საზოგადოების მრავალფეროვნების აღიარება

(იხ. უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვის და გეგმის დოკუმენტი, 2018 წელი, გვ. 6-7; უნივერსიტეტის მისია/სტრატეგია/გეგმა <http://freeuni.edu.ge/ge/mission-and-vision>).

უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა (შემდგომში „სამართლის საბაკალავრო პროგრამა“ ან „პროგრამა“) ხორციელდება 2009 წლიდან (აკრედიტაცია მიენიჭა აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით). პროგრამა ორიენტირებულია ფართო თეორიული ცოდნითა და იურისტისათვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სამართალმცოდნეების მომზადებაზე. თვითშეფასების ანგარიშისა და პროგრამის შესახებ დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამა ფორმულირებულია შემდეგი 6 მიზნის გარშემო:

- სტუდენტს მისცეს სამართლის ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების, სამართლის ეროვნული სისტემის დეტალური სფეროების შესახებ და, აგრეთვე, საერთაშორისო სამართლის სისტემის ფართო და უახლეს ასპექტებზე დაფუძნებული ცოდნა;
- მოამზადოს იურისტები, რომლებსაც შეეძლებათ თეორიული ცოდნისა და შეძენილი უნარ-ჩვევების გამოყენებით, რთული და გაუთვალისწინებელი სამართლებრივი ამოცანების და პრობლემების დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით გადაჭრა;
- კურსდამთავრებულები იყვნენ მოთხოვნადი და წარმატებულები სამართლის სფეროში, განახორციელონ საკუთარი საქმიანობა პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით;
- კურსდამთავრებულებმა შეძლონ სამართლის ცვალებად გარემოსთან ადაპტაცია და განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა;
- კურსდამთავრებულებმა შეძლონ კვლევის განხორციელება წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად, სტანდარტული და უახლესი მეთოდების გამოყენებით;
- კურსდამთავრებულებმა შეძლონ სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. უნივერსიტეტის მიერ სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში 2020 წელს ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტის (შემდგომში „შრომის ბაზრის კვლევის

დოკუმენტი“) მიხედვით დგინდება, რომ უნივერსიტეტმა პროგრამის ფარგლებში განახორციელა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა ამ უკანასკნელში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. კვლევის ფარგლებში გამოვლენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით განხორციელდა პროგრამის შესაბამისი მოდიფიცირება. მაგალითისათვის, კურსდამთავრებულთა მოსაზრებების გათვალისწინებით ინტელექტუალური საკუთრების სამართალი სავალდებულო არჩევით საგნებში გადავიდა, ხოლო დამსაქმებლებთან შეხვედრის შედეგად გამოიკვეთა, რომ კერძო იურიდიულ კომპანიებში დასაქმების მსურველი კანდიდატებისთვის დამატებითი უპირატესობა იქნებოდა განათლება ბიზნესისა და ფინანსების სფეროში. აღნიშნულის საპასუხოდ პროგრამას დაემატა მაინორ პროგრამა - დამატებითი სპეციალობა ბიზნესსა და ფინანსებში, რომელიც, სტუდენტის მიერ არჩევის შემთხვევაში, უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სასწავლო კურსების მეშვეობით განხორციელდება (სტუდენტებს ასევე, მიეცათ შესაძლებლობა, მიიღონ დამატებითი სპეციალობა მართვასა და საჯარო პოლიტიკაში).

პროგრამის მიზნები თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან და კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო კურსების მიზნებთან. პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების, სამართლის ძირითადი განათლების, სამართლის პრაქტიკული განათლების, სამართლის სავალდებულო არჩევითი საგნებისა და ზოგადი პრაქტიკული განათლების მოდულები საბოლოო ჯამში უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნების მიღწევადობას, რაც, თავის მხრივ, შესაბამისობაშია უნივერსიტეტის ხედვასა და მისიასთან. პროგრამის მიზნების რეალისტურობასა და მიღწევადობასთან მიმართებით გასათვალისწინებელია სამართლის საბაკალავრო პროგრამისათვის აუცილებელი ის ძირითადი კომპონენტები, რაც წარმოადგენს პროგრამის ძირითადი მიზნების მიღწევის აუცილებელ საშუალებებს: (ა) სამართლის პროგრამის სტრუქტურა, შესამისობა დარგობრივ მახასიათებლებთან, თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და მისი გაჯერება, პირველ რიგში, იმგვარი სავალდებულო სასწავლო კურსებით, რომლებიც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნების განხორციელებას; (ბ) უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა - სათანადო სასწავლო სივრცე; (გ) თანამედროვე ინტერნეტ და მატერიალურ სამართლებრივ გამოცემებზე ხელმისაწვდომობა, რაც, თავის მხრივ, მოიცავს თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკის არსებობას; (დ) მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი იურისტის მომზადებას; და (ე) პროგრამის ფინანსური მდგრადობა. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა მხედველობაში მიიღო თვითშეფასების ანგარიშსა და შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში ასახული ინფორმაცია სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირთა რაოდენობის, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლისა და დამსაქმებელთა მიერ მათი დასაქმების მაღალი მოთხოვნის შესახებ, რაც, ასევე, დადასტურდა, განსაკუთრებით კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებთან ინტერვიუს პროცესში. პროგრამის მიზნების მიღწევადობის რეალისტურობის ზემოაღნიშნული კომპონენტების ერთობლივად შეფასების შედეგად ექსპერტთა ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია.

ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის თვალსაზრისით აღსანიშნავია საკონსტიტუციო სამართლის კლინიკის ფარგლებში უცხოური უნივერსიტეტის პროფესორებისა და სტუდენტების ჩართულობა სასამართლო მეგობრის (*amicus curiae* - სამართალწარმოებაში ფიზიკური ან იურიდიული პირის (რომელიც არ წარმოადგენს მხარეს) წერილობითი მოსაზრება. სასამართლოს წარედგინება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით და სასამართლოს მიერ მისი გაზიარების შემთხვევაში შეიძლება აისახოს სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილშიც) მოსაზრებაზე რეკომენდაციების გაცემის გზით. მიუხედავად იმისა, რომ სამართლის სამაგისტრო პროგრამისა და სადოქტორო პროგრამისაგან განსხვავებით, სამართლის საბაკალავრო საფეხურზე საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები შეიძლება ნაკლებად აქტუალური იყოს სამართლის დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი პროგრამის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვად მიმართულებად მოიაზრება. პროგრამის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო ხედვა ასახულია უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვის და გეგმის დოკუმენტში. თუმცა, სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს და ამ თვალსაზრისით უფრო აქტიურად იმოქმედოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის განვითარებაზე.

უნივერსიტეტის ვებგვერდზე (<http://freeuni.edu.ge>) პროგრამის მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომია, ვებგვერდზე, ასევე, განთავსებული და ხელმისაწვდომია პროგრამა, უნივერსიტეტის ძირითადი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვადასხვა დოკუმენტი, მათ შორის უნივერსიტეტის წესდება, ბაკალავრიატის დებულება, უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვის და გეგმის დოკუმენტი, ეთიკის კოდექსი, დისციპლინური საბჭოს რეგლამენტი, საქმის წარმოების ინსტრუქცია, რეკომენდაციები და ინსტრუქციები სტუდენტებისთვის, ასევე, სხვა შიდასამართლებრივი აქტები. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ასევე განთავსებულია ბოლო პერიოდის გამოწვევების შესაბამისი ისეთი სამართლებრივი აქტები, როგორიცაა - დისტანციურად გამოცდის ჩატარების დროებითი ზოგადი წესები და პირობები, რექტორის ბრძანება საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია მასში ჩართული პირების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- შრომის ბაზრის კვლევის შესახებ დოკუმენტი
- უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვის და გეგმის დოკუმენტი
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. ამ თვალსაზრისით უნივერსიტეტს ექნება მკაფიო ხედვა და სტრატეგია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშუალოდ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით და უფრო ეფექტურად მოახდენს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას დაგეგმილი სტრატეგიისა და ეტაპების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შესახებ დოკუმენტისა და თვითშეფასების ანგარიშის თანახმად პროგრამის სწავლის შედეგები განისაზღვრება შემდეგი სახით:

პროგრამის დასრულების შემდეგ:

- (1) კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს რა არის ბუნება, საზოგადოება, ადამიანი და ხელოვნება; შეუძლია რაოდენობრივი აზროვნება; ფლობს პროფესიული განვითარებისათვის საჭირო მრავალმხრივ საბაზისო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რაც შეთავაზებულია საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების მოდულით; იღებს მორალური ღირებულებების საფუძველზე ეთიკურ გადაწყვეტილებებს და აცნობიერებს სამყაროს და საზოგადოების მრავალფეროვნებას;
- (2) კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს ადამიანის უფლებათა მნიშვნელობა, შეზღუდვის პრინციპები და დაცვის ეროვნული მექანიზმი;
- (3) კურსდამთავრებულმა იცის სახელმწიფო მოწყობის ძირითადი პრინციპები და ეროვნული მოდელი;
- (4) კურსდამთავრებულმა იცის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმები და ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებები;
- (5) კურსდამთავრებულმა იცის კერძო სამართლის სისტემა, სამოქალაქო სამართლის უზოგადესი ცნებები და პრინციპები;
- (6) კურსდამთავრებულმა იცის სამეწარმეო თავისუფლებისა და შრომის უფლების დაცვის ეროვნული მექანიზმები და გაცნობიერებული აქვს კერძო სამართალში სამართალწარმოების თავისებურებები;
- (7) კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს სისხლის სამართლის პრინციპები, დანაშაულის არსი და სახეები, სასჯელის სისტემა და იცნობს სისხლის სამართალწარმოების სტადიებსა და თავისებურებებს;
- (8) კურსდამთავრებულმა იცის საერთაშორისო სამართლის სისტემა და ძირითადი პრინციპები, ინსტიტუტები და მექანიზმები, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობა, სახელმწიფოსათვის დადგენილი უფლებები და ვალდებულებები, პასუხისმგებლობების მექანიზმები;
- (9) კურსდამთავრებულს შეუძლია სამართლის სფეროში არსებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების ამოცნობა; სამართლებრივი პრობლემისა და დავის გადაწყვეტის შესაძლო გზების იდენტიფიცირება, რაციონალური, დასაბუთებული გადაწყვეტილებების შემუშავება სტანდარტული ან/და უახლესი მეთოდების გამოყენებით;
- (10) კურსდამთავრებულს შეუძლია სათანადო სამეცნიერო, ნორმატიული და პრეცედენტული წყაროების, ასევე მეთოდების მოძიება, მოკვლევა, ანალიზი და გამოყენება;

- (11) კურსდამთავრებულს შეუძლია დავის გადაწყვეტის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება, დავის/სამართლებრივი პრობლემის გადაჭრა ყველა მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების გაანალიზების საფუძველზე, სასამართლო პროცესისა და დავების გადაწყვეტის სხვა პოტენციური და კანონიერი საშუალების გამოყენებით;
- (12) კურსდამთავრებულს შეუძლია იურიდიული დოკუმენტების, კერძოდ, როგორც სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, ასევე სამართალშეფარდებითი აქტების, საპროცესო დოკუმენტების, ინდივიდუალური და ნორმატული ადმინისტრაციული აქტების პროექტების შედგენა, აგრეთვე კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავება მითითებების შესაბამისად;
- (13) კურსდამთავრებული მოქმედებს ეთიკურ და პროფესიულ პრაქტიკასთან დაკავშირებული სტანდარტების დაცვით;
- (14) კურსდამთავრებულს შეუძლია ქართულ და ინგლისურ ენებზე ზეპირი და წერილობითი ეფექტური კომუნიკაცია, პროფესიული აზრის გასაგებად გადმოცემა, როგორც პროფესიული, ისე - არაპროფესიული აუდიტორისთვის;
- (15) კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლება; საკუთარი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დგინდება, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია 15 სწავლის შედეგის მიღწევაზე, რაზეც რჩევის თვალსაზრისით შეიძლება განისაზღვროს, რომ აღნიშნული რაოდენობა გარკვეულწილად აჭარბებს სწავლის შედეგების სარეკომენდაციო რაოდენობას. შესაბამისად, იმისათვის, რომ სწავლის შედეგები მეტად რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადი იყოს, სასურველია, მათი რაოდენობრივად შემცირება. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია რომელიმე სწავლის შედეგის ამოღებით ან ორი ან მეტი შედეგის ერთ შედეგში გაერთიანებით.

პროგრამის სწავლის შედეგები არ არის სისტემატიზირებული სამდონიანი სწავლის შედეგების - ცოდნა/გაცნობიერების, უნარისა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის შესაბამის სტრუქტურაში, რაც განსაზღვრულია საქართველოს კანონში „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ (*2^ე მუხლის 1-ელი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი*), საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებაში „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ და სამართლის დარგობრივ მახასიათებელში. შესაბამისად, სწავლის შედეგების სისტემატიზაციის მიზნით, სასურველია, მათი სისტემატიზაცია განხორციელდეს სწავლის შედეგის შესაბამის ჯგუფში სამდონოვანი დაყოფით და იგივენაირად - პროგრამის შემადგენელ ნაწილში - სილაბუსებშიც. აღნიშნულის მიუხედავად, სწავლის შედეგების ანალიზის შედეგად ექსპერტთა ჯგუფი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სწავლის შედეგები შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებსა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ სწავლის შედეგების ძირითად კომპონენტებს.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. ამასთან, სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიმართ უნივერსიტეტს შესრულებული აქვს შრომის ბაზრის კვლევა, რომლის შემუშავებაშიც დასტურდება სხვადასხვა დაინტერესებული პირების, მათ შორის დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების, ჩართულობა.

პროგრამა განსაზღვრავს სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკას, რომელიც არსებითია სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის დადგენისათვის და ასახავს კავშირს პროგრამის მიზნებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის. ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგებთან თითოეული სასწავლო კურსის ურთიერთმიმართება ასახულია სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის (სწავლის შედეგების) რუკაში.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება ორი ძირითადი მიდგომა: პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდები. არაპირდაპირი გაზომვის მეთოდი გულისხმობს უკუკავშირის სხვადასხვა საშუალების გამოყენებას: სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას და ამ შედეგების ანალიზის გზით პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების გაზომვას და, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესებას. თუმცა, შიდა შეფასების ინსტრუმენტების საშუალებით შეგროვებული მონაცემების ანალიზი ხორციელდება სუსტად, გამოკითხულ პირთა რაოდენობა და კვლევის მეთოდები არ იძლევა რეალური სიტუაციის შეფასების საშუალებას, არ ხდება მონაცემთა ანალიზისა და ამ მონაცემების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების კუთხით გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემუშავება. ინტერვიუს პროცესში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების მხრიდან დაზუსტდა, რომ უნივერსიტეტი სწავლის შედეგების შეფასების პროცესს აქტიურად ახორციელებს, მათ შორის სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან შეხვედრებისა და ელექტრონული კომუნიკაციების ფორმატში და აღნიშნული აქტივობების გადატანას შესაბამისი დოკუმენტების - ოქმებისა თუ სხვა სახით, არ ახდენს. აღნიშნულის მიუხედავად, სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი, სამიზნე ნიშნულებთან დადარება, პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების ანალიზის განხორციელება შესაბამისი შემაჯამებელი ან პერიოდული დოკუმენტების მეშვეობით მიზანშეწონილია სწავლის შედეგების მიღწევის, სრულყოფილი ანალიზისა და პროგრამის გაუმჯობესების შესაბამისი ქმედებების დაგეგმვა/განხორციელებისათვის.

სწავლის შედეგების მიღწევადობის თვალსაზრისით, მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია, პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, რომელიც თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით 95%-ს შეადგენს, ისევე, როგორც კურსდამთავრებულების დასაქმებაზე მაღალი მოთხოვნის მაჩვენებელი როგორც კერძო, ასევე საჯარო ორგანიზაციებში, რაც დადასტურდა დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესშიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა

○ თვითშეფასების ანგარიში ○ შრომის ბაზრის კვლევის შესახებ დოკუმენტი ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის (სწავლის შედეგების) რუკა ○ შეფასების ფორმები; ○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია, დოკუმენტურად აისახოს უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი და ანალიზის შედეგების მიხედვით პროგრამაში განსახორციელებელი/განხორციელებული ცვლილებები. სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი, სამიზნე ნიშნულებთან დადარება, პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების ანალიზის განხორციელება შესაბამისი შემაჯამებელი ან პერიოდული დოკუმენტების მეშვეობით მიზანშეწონილია სწავლის შედეგების მიღწევის, სრულყოფილი ანალიზისა და პროგრამის გაუმჯობესების შესაბამისი ქმედებების დაგეგმვა/განხორციელებისათვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მიერ ანალიზის ეფექტურად განხორციელებას, ინფორმაციის თავმოყრას და გამოვლენილი ხარვეზების შესაბამისად ცვლილებების საჭიროებებს, არსებობის შემთხვევაში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია:

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების შესაბამისად. კერძოდ, პროგრამაზე ირიცხებიან სრული ზოგადი განათლების ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე ის პირები, რომელთაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების შესაბამისად მოიპოვეს უსდ-ს აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის უფლება.

2. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კერძოდ, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე შესაძლებელია ჩაირიცხო: ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებმაც სრული ზოგადი განათლება ან სრული ზოგადი განათლების ექვივალენტური განათლება მიიღეს უცხო ქვეყანაში; ბ) საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც სრული ზოგადი განათლება ან სრული ზოგადი განათლების ექვივალენტური განათლება მიიღეს უცხო ქვეყანაში და ბოლო ორი წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში. გ) უცხო

ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც სწავლობენ/ სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; დ) საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. 3. მობილობის წესით, რაც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად. დაშვების წინაპირობები სრულად არის გადმოცემული საბაკალავრო პროგრამაში და ხელმისაწვდომია საჯაროდ, უსდ-ს ვებგვერდზე: http://freeuni.edu.ge/sites/default/files/u113/FUT_BachelorPrpogram_Law_2020.pdf.	
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა ○ უსდ-ს ვებგვერდი	
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები	
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის	
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის	
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○	
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამა შემუშავებულია პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. ინტერვიუს დროს ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან აღინიშნა, რომ მეთოდოლოგია გათვალისწინებულია უსდ-ს სტრატეგიაში და წარმოდგენილ იქნა სტრატეგიის დოკუმენტი „თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგიული ხედვა და გეგმა“, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ პროგრამის შემუშავებისას, პროგრამის ხელმძღვანელი/სკოლის დეკანის ხელმძღვანელობით იქმნება სამუშაო ჯგუფი, ხოლო პროგრამის დაგეგმვისას ხდება შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- უნივერსიტეტის მისია;
- შრომის ბაზრის მოთხოვნების და სსაქმიან გარემოსთან (იგულისხმება დამსაქმებლები, ლოკალური და საერთაშორისო სპეციალური სააკრედიტაციო ასოციაციები და სხვა) კონსულტაციების შედეგად მიღებული ინფორმაცია;
- პროგრამის შესაბამისი საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება;
- მიზნების, კვალიფიკაციის და სწავლის შედეგების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი მარეგულირებელი დოკუმენტები (ბაკალავრიატის დებულება, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო, პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტები);
- საჯარო სექტორში არსებული სოციალური საჭიროებების, კურსდამთავრებულების ტრანსფერული და სპეციალობისგან დამოუკიდებელი უნარები;
- კურსდამთავრებულებისგან მიღებული პრაქტიკული პროფესიული გამოცდილება სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამისთვის აუცილებელი რესურსები (ადამიანური და მატერიალური) ხელმისაწვდომობის დონე.

ამავე დოკუმენტით დადგენილია საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსასაზღვრელი საკითხები:

- პროგრამის სახელწოდება
- ეროვნულ კვალიფიკაციის ჩარჩოსთან თავსებადი მისანიჭებელი კვალიფიკაცია
- სწავლების მოცულობა ECTS კრედიტებში
- სწავლების ენა
- პროგრამის მიზანი, რომელიც თავსებადი უნდა იყოს უნივერსიტეტის მისიასთან • დასაქმების სფეროები
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა
- სწავლის შედეგები, კლასიფიცირებული როგორც დუბლინის დესკრიპტორების, ისე ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მიხედვით და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოზე რეფერირებით
- სწავლებისა და სწავლის მეთოდები
- სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა
- სასწავლო გეგმა/კურიკულუმი და სემესტრული გეგმა
- პროგრამის კომპონენტების/საგნების მოკლე აღწერები
- პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსები.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით სამუშაო ჯგუფში შედიან:

- რექტორი
- პრორექტორი პროგრამების განვითარების საკითხებში
- პრორექტორი სასწავლო პროცესის მართვის საკითხებში
- კანცლერი
- სამართლის სკოლის დეკანი
- სამართლის სკოლის კოორდინატორი
- სამართლის სკოლის უმცროსი კოორდინატორი
- სტუდენტების დეკანი
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი
- საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი
- ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი
- აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი.

აღნიშნულის გარდა, უსდ-ს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების შეფასების წესი“ (მუხლი 6, მუხლი 8) ასევე ადგენს საგანმანათლებლო

პროგრამის შემუშავებისას შესამოწმებელი საკითხების ამომწურავ ჩამონათვალს, რაც მოიცავს:

- პროგრამაზე მიღების წინაპირობები არის თუ არა გამჭვირვალე და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარების და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას;
- პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს თუ არა პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას;
- პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია თუ არა;
- სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს თუ არა ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით;
- სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება თუ არა გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ;
- ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს თუ არა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს თუ არა შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს.
- პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია თუ არა სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
- სასწავლო მასალა დაფუძნებულია თუ არა მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- არსებობს თუ არა პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა.

ამდენად, დოკუმენტურად დასტურდება მეთოდოლოგიის არსებობა, რომელსაც ეფუძნება პროგრამა.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა“ დგინდება პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა ჩართულობა, ასევე მითითებულია, რომ ამ მიზნით იმართება შეხვედრები სტუდენტებთანაც.

პროგრამის შემუშავებაში აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობასთან დაკავშირებით კითხვები დაისვა ასევე ინტერვიუების დროს: აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა დაადასტურა

პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა, აღნიშნული ასევე დადასტურდა დამსაქმებლების ნაწილის და კუსრდამთავრებულების მხრიდან.

რაც შეეხება სტუდენტების ჩართულობას, უშუალოდ ინტერვიუზე წარმოდგენილმა სტუდენტებმა, კითხვაზე, იყვნენ თუ არა ჩართული პროგრამის შემუშავებაში და რა ფორმით, უპასუხეს უარყოფითად. აღნიშნულ საკითხზე ჩაღრმავებული დისკუსიის შედეგად, სტუდენტებმა მიუთითეს, რომ მათ არ მიუღიათ მონაწილეობა პროგრამის თაობაზე რაიმე ტიპის გამოკითხვაში/კვლევაში.

შესაბამისად, პროგრამის შემუშავებაში სტუდენტების ჩართულობა ინტერვიუს დროს წარმოდგენილი სტუდენტების მხრიდან არ დადასტურდა, სტუდენტების ჩართულობა ასევე არ დასტურდება სხვა სახის მტკიცებულებით („თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის“ დოკუმენტი უთითებს კუსრდამთავრებულებთან შეხვედრებისას განხილულ საკითხებზე და არ საუბრობს მოქმედ სტუდენტებთან შეხვედრებისას განხილულ საკითხებზე). სტუდენტთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების მხედველობაში მიღებით, საჭიროდ მიგვაჩნია, განისაზღვროს სტუდენტების ჩართულობის ეფექტური და სისტემური ფორმატი, რაც შეძლებისაგვარად უნდა მოიცავდეს არამხოლოდ სტუდენტების საჭიროებების, მოსაზრებების კვლევას, არამედ სტუდენტების დასაბუთებულ/არგუმენტირებულ შენიშვნების/ინიციატივების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებას პროგრამის განვითარებაში.

აკრედიტაციის მიზნებისათვის, ასევე მნიშვნელოვანია უსდ-ს მიერ ყურადღება მიექცეს იმას, რომ მსგავსი საკითხები დადასტურებადი იყოს არამხოლოდ ინტერვიუს შედეგებით, არამედ სხვა ტიპის მტკიცებულებებითაც (მაგ. პროგრამის განვითარების მიზნებისათვის სტუდენტების გამოკითხვის შედეგები/კითხვარები/შევსებული კითხვარების განზოგადებული ანგარიში). აღნიშნულის საჭიროება გამოიკვეთა ამ ვიზიტის ფარგლებში სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით, ურთიერთგამომრიცხავი პასუხებისას ექსპერტებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა სხვა სახის მტკიცებულებით შეაფასონ კონკრეტული საკითხი.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, კერძოდ, კურიკულუმი მოიცავს 241 კრედიტს (ერთი კრედიტი უტოლდება სტუდენტის დატვირთვის 28 საათს) და შედგება შემდეგი მოდულებისაგან:

საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება - 50 კრედიტი

სამართლის ძირითადი განათლება - 149 კრედიტი, აქედან საბაზისო განათლება 24 კრედიტი, საჯარო სამართალი 34 კრედიტი, სისხლის სამართალი - 22 კრედიტი, კერძო და ბიზნეს სამართალი - 47 კრედიტი, პროფესიული უნარების განვითარება - 22 კრედიტი.

სამართლის პრაქტიკული განათლება - 27 კრედიტი;

სამართლის სავალდებულო არჩევითი საგნები - 12 კრედიტი;

სამართლის ნებაყოფლობითი არჩევითი საგნები - 20 კრედიტი;

ზოგადი პრაქტიკული განათლება - 3 კრედიტი.

ამდენად, ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების ჯამური მოცულობა შეესაბამება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისათვის კანონმდებლობით დადგენილ კრედიტების გადანაწილების მოცულობას და უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობა. ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურ ურთიერთკავშირია.

აღნიშნულის გარდა, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, პრიორიტეტულად აირჩიონ დამატებითი სპეციალობა ბიზნესსა და ფინანსებში (უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მიერ შეთავაზებული სასწავლო კურსების მეშვეობით) ან მართვასა და საჯარო პოლიტიკაში (უნივერსიტეტის მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების სკოლის მიერ შეთავაზებული სასწავლო კურსების მეშვეობით). აღნიშნულ შემთხვევებში პროგრამის ზოგადი განათლების (50 კრედიტი), სამართლის ძირითადი განათლების (149 კრედიტი), სამართლის პრაქტიკული განათლების (27 კრედიტი), სამართლის სავალდებულო არჩევითი საგნების (12 კრედიტი), ზოგადი პრაქტიკული განათლების (3 კრედიტი) მოდულებთან ერთად სტუდენტი გადის 36 კრედიტის მაინორის საგნებს შესაბამის არჩეულ დამატებით სპეციალიზაციაში. უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტით, ინტერვიუს პროცესში, განსაკუთრებით კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებთან, გასაუბრების შედეგებით დასტურდება აღნიშნული კურსების უნივერსიტეტის მიერ სტუდენტებისათვის შეთავაზების დაკვეთა და დაკვეთისა და შრომის ბაზრის გამოწვევის საპასუხოდ მისი შეთავაზება პროგრამაში, რაც მისასაღმებელია, თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, დამატებითი სპეციალიზაციის მიღების მიზნით მაინორ პროგრამების პრაქტიკულად ამოქმედებისას შეიძლება დადგეს საკითხი შესაბამისი სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო საგნების კრედიტების მოცულობასთან დაკავშირებით სწავლის შედეგებზე ეფექტურად გასვლის მიზნებისათვის. მაგალითისათვის, მართვასა და საჯარო პოლიტიკაში დამატებითი სპეციალობის სასწავლო გეგმის შესაბამისად მე-7 სემესტრში კრედიტების მოცულობა შეადგენს 36 კრედიტს. შესაბამისად, შეიძლება საკითხი დადგეს სტუდენტის მიერ აღნიშნულ სემესტრში დატვირთვის გათვალისწინებით, რამდენად პრაქტიკულად განხორციელებადია კრედიტების ამგვარი განაწილება, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც სტუდენტს კვირის განმავლობაში სხვადასხვა სასწავლო კურსში შეიძლება ჰქონდეს გამოცდა/სემინარები.

გასათვალისწინებელია, რომ კანონმდებლობა ადგენს მინიმალურ მოთხოვნას და სწავლის სფეროს სპეციფიკით და მოცულობით, ასევე სტუდენტთა საჭიროების შესაბამისად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საუნივერსიტეტო თავისუფლების ფარგლებში უნდა განისაზღვროს კრედიტების ლოგიკური გადანაწილების საკითხი. ამ კონტექსტში ყურადღება უნდა გამახვილდეს საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების კომპონენტზე, რომლის მოცულობა წინა აკრედიტაციის რეკომენდაციის შესაბამისად შემცირდა და ამჟამად წარმოდგენილია 12 სასწავლო კურსით დაკომპლექტებული 50 კრედიტიანი ზოგადი საუნივერსიტეტო განათლების კომპონენტის სახით. საუნივერსიტეტო

განათლების შესახებ ინტერვიუზე წარმოდგენილი სტუდენტების მხრიდან გამოვლინდა ცალსახად არაერთგვაროვანი დამოკიდებულება. საერთო ჯამში, ამ კომპონენტში შემავალი ცალკეული საგნების არსებობა სტუდენტების მიერ მათი პირადი/კონკრეტული ზოგადი ინტერესების მხედველობაში მიღებით შეფასდა დადებითად, ხოლო საგნების ნაწილი უარყოფითად. უარყოფითი შეფასება მიმართული იყო არა მხოლოდ ზოგადი განათლების კომპონენტში ცალკეული საგნების არსებობა-არარსებობის, ასევე იმის თაობაზეც, რომ ამ კომპონენტის ცალკეული კურსები (მაგალითისთვის, დასახელებული იყო ანთროპოლოგიის სასწავლო კურსი) არის იმდენად მოცულობითი, რომ მის დაძლევას სტუდენტთა გარკვეული ნაწილი ვერ ახერხებს (მოყვანილი იყო ერთ-ერთი სემესტრის მაგალითი, როდესაც სტუდენტთა დიდმა ნაწილმა ვერ გადალახა ანთროპოლოგიის სასწავლო კურსის მინიმალური ზღვარი).

მეორე მხრივ, უსდ-ს ადმინისტრაციის მხრიდან დაფიქსირდა ცალსახა პოზიცია, რომ ზოგადი განათლების კომპონენტის არსებული სახით არსებობა უნივერსიტეტისთვის არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი.

ზოგადი საუნივერსიტეტო განათლების კომპონენტის მიმართ თავად სტუდენტებში არსებული არაერთგვაროვანი დამოკიდებულების, ასევე იმ გამოწვევების გათვალისწინებით, რომლებსაც სტუდენტები აწყდებიან ამ კომპონენტში შემავალი ცალკეული სასწავლო კურსების გავლისას, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უსდ-მ ამ კომპონენტის სირთულეების/პრობლემების სიღრმისეულ კვლევაზე დაფუძნებით, საუნივერსიტეტო თავისუფლების ფარგლებში კვლავ უნდა გააგრძელოს მოდიფიკაცია/განვითარება, რათა უპასუხოს და დააკმაყოფილოს სტუდენტთა კონკრეტული საჭიროებები.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პროგრამაში ინტეგრირებული ე.წ. live client-ზე დაფუძნებული სამართლის კლინიკები (ბიზნეს სამართლის, სისხლის სამართლის, საკონსტიტუციო სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის კლინიკა), რომლებიც სამართლის პრაქტიკული განათლების მოდულის შემადგენელი ნაწილია და ეფექტურად ემსახურება სტუდენტების მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად განხორციელების უნარების განვითარებას სამართლის შესაბამისი მიმართულებით და სტუდენტების მიერ გამოცდილების მიღებას რეალურ საქმეებზე მუშაობის პროცესში.

საბოლოო ჯამში, წარმოდგენილი პროგრამა მოცულობით და კომპლექსურობით შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია სამართლის ბაკალავრის კვალიფიკაციასთან, ხოლო პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრულია. უზრუნველყოფილია პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ პროგრამა ○ კურიკულუმი ○ თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და გეგმა ○ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების შეფასების წესი ○ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა
რეკომენდაციები: ○ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის შემუშავებასა და შემდგომ განვითარებაში მოქმედი სტუდენტების ეფექტური ჩართულობის ღონისძიებები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ ზოგადი საუნივერსიტეტო განათლების კომპონენტში შემავალ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით სასურველია, ჩატარდეს სტუდენტების საჭიროებების და არსებული გამოწვევების კვლევა. ამგვარი კვლევის შედეგების გათვალისწინებით დაიგეგმოს ამ კომპონენტის მოდიფიკაცია/განვითარება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პროგრამაში ინტეგრირებული ე.წ. live client-ზე დაფუძნებული სამართლის კლინიკები (ბიზნეს სამართლის, სისხლის სამართლის, საკონსტიტუციო სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის კლინიკა), რომლებიც სამართლის პრაქტიკული განათლების მოდულის შემადგენელი ნაწილია და ეფექტურად ემსახურება სტუდენტების მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად განხორციელების უნარების განვითარებას სამართლის შესაბამისი მიმართულებით და სტუდენტების მიერ გამოცდილების მიღებას რეალურ საქმეებზე მუშაობის პროცესში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსებში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული კურსის მიზანი, მიზნის შესაბამისად განსაზღვრულია საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგს. თუმცა, ზოგიერთ სასწავლო კურსთან დაკავშირებით შეიძლება საკითხი დაისვას სასწავლო შედეგზე გასვლის თვალსაზრისით. კონკრეტულად, სამართლის საფუძვლების სწავლის შედეგებია:

- სტუდენტმა იცის სამართლის ფორმალური და არაფორმალური წყაროები;
- სტუდენტს გააზრებული აქვს სახელმწიფოს სამართლებრივი საფუძვლები და სამართლებრივი მახასიათებლები;
- სტუდენტს გაცნობიერებული აქვს მოქმედი სამართლებრივი სისტემის მოწყობის პრინციპები;
- სტუდენტს გააზრებული აქვს საქართველოს კონსტიტუციით დაცული ადამიანის უფლებები და ამ უფლებების ეროვნული და საერთაშორისო დაცვის მექანიზმები
- სტუდენტმა იცის სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი
- სტუდენტმა იცის ადმინისტრაციული ორგანოების მოქმედების სამართლებრივი პრინციპები და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ინსტრუმენტები
- სტუდენტს გააზრებული აქვს სისხლის სამართლის პრინციპები და მისი მოქმედების საფუძველზე უზრუნველყოფილი უსაფრთხოების მნიშვნელობა
- სტუდენტს აქვს წარმოდგენა საჯარო მმართველობის მიზნებისა და სამართლებრივი მოწყობის შესახებ
- სტუდენტს აქვს გაცნობიერებული კერძო სამართლის ძირითადი პრინციპები და ინსტიტუტები
- სტუდენტს აქვს წარმოდგენა საერთაშორისო სამართლის სისტემის შესახებ, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის სისტემების ურთიერთმიმართების შესახებ
- სტუდენტს შეუძლია უფლებების სამართლებრივი დაცვის მექანიზმების იდენტიფიცირება

- სტუდენტი განსაზღვრავს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მახასიათებლებს და ახდენს ნორმატიული აქტების სამართლებრივი (მოქმედების) ძალის იდენტიფიცირებას
- სტუდენტს შეუძლია ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის პრინციპების იდენტიფიცირება
- სტუდენტი განსაზღვრავს ნორმატიული და ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების მახასიათებლებს და შეუძლია მათი ურთიერთგამიჯვნა
- სტუდენტს შეუძლია სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების იდენტიფიცირება, მათი სამართლებრივი (მოქმედების) ძალის განსაზღვრა
- სტუდენტი მსჯელობს ზოგადი სამართლებრივი პრინციპების შესახებ, ერთმანეთისგან გამიჯნავს კერძო და საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებს, მსჯელობს საქართველოს სახელისუფლებო მოწყობის პრინციპების შესახებ, განასხვავებს სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს უფლებათა დაცვის კუთხით, განასხვავებს უფლებათა შიდა და გარე შეზღუდვებს
- სტუდენტს შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია სამართლის საბაზისო ცნებებისა და ინსტიტუტების შესახებ.

აღნიშნული სასწავლო კურსის ფარგლებში მე-11 კვირაში ისწავლება სამართლის წყაროები, რომელიც მოიცავს - ფორმალური და არაფორმალური სამართლის წყაროებს; სამართლის ნორმასა და მის სტრუქტურას, სამართლებრივი აქტებს, ნორმატიული აქტების იერარქიას; ინდივიდუალურ და ნორმატიულ სამართლებრივი აქტებს; სამართლის დაყოფას დარგებად. შესაბამისად, ეჭვქვეშ დგება, ამ ერთი ლექციის ერთსაათიანი დისკუსიის ფარგლებში სტუდენტმა შეძლოს, განსაზღვროს საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების და ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების მახასიათებლები, ასევე, გამიჯნოს ნორმატიული და ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები.

სასწავლო კურსის სილაბუსებთან მიმართებით გამოვლინდა რამდენიმე საერთო ხასიათის ხარვეზი:

სასწავლო მასალის განახლება

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტებისათვის შესათავაზებელი ლიტერატურის განსაზღვრა ლექტორის აკადემიური თავისუფლებაა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული თავისუფლება გამოყენებული უნდა იყოს სტუდენტის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. სასწავლო მასალა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად უახლესი და სადაც არსებობს ახალი ლიტერატურა, ყოველთვის უპირატესობა უნდა მიენიჭოს სწორედ ახალს, თუ ხარისხობრივი კუთხით არ არსებობს ახლის არგამოყენების საფუძველი. ლიტერატურის განახლების საკითხს უსდ-მ უწყვეტ რეჟიმში უნდა მიაქციოს ყურადღება.

მაგალითად:

- შესავალი სამოქალაქო სამართალში კურსის სილაბუსი: ნორმატიულ მასალაში მითითებულია საქართველოს კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ (სილაბუსის გვ.6), რომელიც ძალადაკარგულია 2017 წელს.
- სამეწარმეო სამართლის კურსის სილაბუსი: ქ. ქოქრაშვილი, სამეწარმეო სამართალი მითითებულია 2010 წ. და შესაძლებელია ჩანაცვლდეს იგივე სახელმძღვანელოს 2019 წლის გამოცემით.
- ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის კურსის უახლესი სახელმძღვანელოა 2010 წლის (პ. ტურავა, ნ. წკეპლაძე). მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელმძღვანელო ინარჩუნებს აქტუალობას, არსებობს იგივე სახელმძღვანელოს ახალი რედაქცია 2013 წ., ასევე, არსებობს 2016 წლის სახელმძღვანელო (პ. ტურავა) და ამავე სახელმძღვანელოს 2018 წლის მეორე გამოცემა.
- ადმინისტრაციული სამართლის პროცესის კურსის სილაბუსი: ძირითად სასწავლო სახელმძღვანელოდ მითითებულია 2008 წლის ადმინისტრაციული პროცესის სახელმძღვანელო. თუმცა, არსებობს ბევრად ახალი სახელმძღვანელოც 2018 წლის, რაც სილაბუსში არასავალდებულო ლიტერატურაშია მითითებული. ინტერვიუს დროს ექსპერტა ჯგუფს განემარტა, რომ 2008 და 2018 წლის ვერსიები იდენტურია. ექსპერტა პოზიციით, იმის გათვალისწინებით, რომ 2018 წლის სახელმძღვანელო ავტორთა კოლექტივის სხვა წევრების მონაწილეობით გამოიცა, ასევე 2008 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში განხორციელდა 20-ზე მეტი ცვლილება, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი მუხლი, ექსპერტა ჯგუფი კვლავ დარჩა თავის პოზიციაზე ამ კონკრეტულ შემთხვევაში ახალი სახელმძღვანელოს გამოყენების თაობაზე, რის შემდეგაც ინტერვიუზე ექსპერტა ჯგუფს განემარტა, რომ რეალურად სწავლება მიმდინარეობს ორივე მათგანით.
- სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი I და სისხლის სამართლის ნაწილი II კურსის სილაბუსებში: სავალდებულო ლიტერატურაში მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, ნაწილი პირველი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976;
- საგადასახადო სამართალი I და საგადასახადო სამართალი II კურსის სილაბუსები: ძირითად ლიტერატურაში არცერთი სახელმძღვანელო არ არის, ხოლო არასავალდებულო ლიტერატურაში არის 2012 წლის კომენტარები, იმ პირობებში, როდესაც არსებობს უფრო ახალი სახელმძღვანელოც;
- შრომითი ურთიერთობების სამართლის სილაბუსში მიზანშეწონილია, სავალდებულო ნორმატიულ მასალაში საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მითითება (კურსის ფარგლებში საჯარო სამსახურში შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული მახასიათებელი ასპექტების განსაზღვრისა და საჯარო და კერძო

ორგანიზაციებში შრომითი ურთიერთობის სხვადასხვა საკითხის შედარების მიზნით, მათ შორის სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზის ფონზე).

სასწავლო მასალის მოცულობა:

უსდ-ს მიერ წარმოდგენილ ზოგიერთ სილაბუსში არსებული სასწავლო მასალა ძალიან მოცულობითია. მაგალითად:

- **სამართლის საფუძვლების** კურსის სილაბუსში მოცემულია შემდეგი ნორმატიული აქტები და სასამართლო გადაწყვეტილებები:

ნორმატიული აქტები:

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
- საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ
- საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია
- საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“
- საქართველოს კანონი „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
- საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“

სასამართლო გადაწყვეტილება:

- Employment Division, Department of Human Resources of Oregon v. Smith, 494 U.S. 872 (1990);
- საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, (სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და მე-19 მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან მიმართებით.) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2011;
- CASE OF JEHOVAH’S WITNESSES OF MOSCOW AND OTHERS v. RUSSIA, EctHR, 2010;
- საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2007;

○ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2008; ○ საქართველოს მოქალაქეები ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმაღაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2013; ○ Romer v. Evans, 517 U.S. 620 (1996); ○ S.W. v. The United Kingdom, EctHR, 1995 საგადასახადო სამართალი I და საგადასახადო სამართალი II - ძირითად ლიტერატურაში მოცემულია იმდენად დიდი მოცულობის სამართლებრივი აქტები, რომ ექვევებ დგას სტუდენტის მიერ შესაბამისი კურსის 112 საათში შესწავლის შესაძლებლობა, რაც, თავის მხრივ, არარეალურს ხდის კრედიტსაც (4 კრედიტი).	მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სასწავლო კურსის სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სილაბუსების მუდმივი გადამუშავება როგორც მასალის განახლების, ასევე მოცულობის კუთხით და ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფის მიზნით.	რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ საბაკალავრო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი უფრო მეტად იყოს სპეციალიზირებული საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის	მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება	

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით, პროგრამის კურიკულუმი ითვალისწინებს პრაქტიკულ კურსებს. პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია სამართლის კლინიკები, რომლებიც სტუდენტს სთავაზობს ე.წ. "live client" საქმიანობას; სტუდენტები ასევე გადიან იურიდიულ პრაქტიკას სხვადასხვა კერძო თუ საჯარო ორგანიზაციებში. იურიდიული პრაქტიკა არის სასწავლო გეგმის სავალდებულო კომპონენტი. სამართლის კლინიკები სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მიერ მიერ შეფასდა პროგრამის ძლიერ მხარედ.

სამართლის პრაქტიკის უზრუნველსაყოფად უსდ-ს ასევე გაფორმებული აქვს მემორანდუმები/ხელშეკრულებები დამსაქმებელთან, თუმცა აღნიშნული დოკუმენტები არის ზოგადი ხასიათის ურთიერთთანამშრომლობის ჩარჩო და არ უთითებენ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, ასევე, პრაქტიკის მიზანს/მიმართულებას და ხანგრძლივობას. უსდ-ს ადმინისტრაციის მხრიდან დაფიქსირდა პოზიცია, რომ გაფორმებული მემორანდუმები არ ადგენს მხარეთა სავალდებულოდ შესასრულებელ ვალდებულებებს, ასევე, ყურადღება გამახვილდა იმ გარემოებაზე, რომ წინასწარ, დამსაქმებელთა ინტერესებიდან გამომდინარე შეუძლებელია ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა.

უსდ-ს აღნიშნული პოზიციის მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფი აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლების საფუძველზე, რომლებიც ადგენს სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობის განსაზღვრის მოთხოვნას, მიიჩნევს, რომ წინასწარ სავარაუდო რაოდენობის განსაზღვრას, ისევე როგორც მიზნის, მიმართულებისა და ხანგრძლივობის განსაზღვრას, აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა პრაქტიკის არამხოლოდ დაგეგმვის, ასევე მიზნობრივად სტუდენტების გადანაწილების, და საერთოდ პრაქტიკული კომპონენტების სწორი მენეჯმენტისთვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუზე წარმოდგენილი დამსაქმებლების მხრიდან, უსდ-ს სტუდენტების პრაქტიკული უნარები, შრომის ბაზარის საერთო ფონის გათვალისწინებით შეფასდა დადებითად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამა ○ დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია, მოხდეს დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, დამსაქმებლებთან გაფორმებულ სხვადასხვა ტიპის შეთანხმებებში სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობის, პრაქტიკის ხანგრძლივობის და მიზნობრიობის განსაზღვრა
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ USAID-PROLoG-ის ფინანსური მხარდაჭერით, სამართლის სკოლა ახორციელებს სამეცნიერო კვლევებს, ატარებს საჯარო ლექციებს, აკადემიურ კონფერენციებს, ადამიანის უფლებათა საუნივერსიტეტო კვირეულს, იმიტირებულ პროცესებსა და შეჯიბრებებს, უცხოური პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორებთან და სტუდენტებთან დისკუსიებს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის „ამიკუსების“ შემუშავების მიზნით. ამ პროგრამის ბენეფიციარები თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორებისა და სტუდენტების გარდა ასევე არიან სხვა უნივერსიტეტის პროფესორები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული მხარეები.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თითოეული სასწავლო კურსი ითვალისწინებს სწავლისა და სწავლების მეთოდებს. სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითადად გვხვდება სწავლების შემდეგი მეთოდები:

• სწავლების ვერბალური მეთოდი • წიგნზე მუშაობის მეთოდი • წერიტი მუშაობის მეთოდი • ჯგუფური მუშაობა • დისკუსიები/დებატები • ანალიზის მეთოდი • ახსნა-განმარტების მეთოდი • დემონსტრირების მეთოდი • პრაქტიკული მეთოდები • სამართლის კლინიკები • ინტერაქციული მეთოდი • შედარებითი მეთოდი • სოკრატეს მეთოდი • თანამშროლობაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი • ე.წ. „case study“ /კაზუსების შესწავლა.

აღსანიშნავია, რომ სამართლის დარგობრივი მახასიათებლებით აღნიშნული წარმოადგენს სწავლება-სწავლის მეთოდებისას გამოსაყენებელ აქტივობებს და არა თავად მეთოდებს, შესაბამისად, ამ ნაწილში სილაბუსები ტექნიკურად შესაბამისობაშია მოსაყვანი დარგობრივ მახასიათებელთან.

მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება: საშინაო დავალებები, ქვიზები, წერიტი გამოცდები, პრეზენტაციები, ესეები, ჰიპოთეტური და რეალური საქმეების გადაჭრა, დისკუსიები, ხელშეკრულების პროექტები, საპროცესო დოკუმენტების მომზადება, იმიტირებული პროცესები, სამართლებრივი მემორანდუმები, საბაკალავრო ნაშრომი და სხვა. აკადემიური თავისუფლების ფარგლებში ლექტორი უფლებამოსილია გამოიყენოს ისეთი სწავლების და სწავლის მეთოდი, რომელიც არ არის გათვალისწინებული პროგრამით. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, მის შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს აღნიშნული სილაბუსში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

მიზანშეწონილია, სილაბუსებით გათვალისწინებული მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა დარგობრივი მახასიათებლებით გათვალისწინებულ მეთოდებსა და სწავლება-სწავლის პროცესში გამოსაყენებელ აქტივობებთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) - მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სილაბუსების ანალიზის შედეგად, ჩანს რომ პროგრამის სილაბუსებში ნათლად არის განსაზღვრული სწავლის/სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და პირობები, რაც შეესაბამება საქართველოს განათლების შესახებ კანონმდებლობას. შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. ყველა სილაბუსში ახსნილი და განმარტებულია შეფასების თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები. სილაბუსებში მითითებულია შეფასების მეთოდები, რაც თითოეული კომპონენტის მიხედვით სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს. თუმცა, გვხვდება ზოგიერთი სილაბუსი, მაგალითად, საკონსტიტუციო სამართალი-სახელმწიფო მოწყობა I, შედარებითი სამეწარმეო სამართალი, სადაც შეფასების კრიტერიუმები და პირობები დეტალურად არ არის განმარტებული. ასევე, მაგალითად, ადმინისტრაციული სამართლის კლინიკის შეფასებებში ქულების რანჟირება დიდია. მაგალითად, კლიენტთან კომუნიკაციის კომპონენტის ქულებია: 20-18 ქულა, 17-13 ქულა, 12-7 ქულა, 6-1 ქულა. იგივე არის პასუხისმგებლობის კომპონენტის ნაწილში: 30-26 ქულა, 25-19 ქულა, 18-10 ქულა, 9-1 ქულა, 0 ქულა. ასევე სახელშეკრულებო სამართალში კაზუსის შეფასების ქულათა რანჟირება 18-11 ქულა, 15-12 ქულა, 11-7 ქულა, 6-1 ქულა (გვ. სილაბუსის გვ. 10), რაც შეიძლება იყოს ტექნიკური შეცდომა.

ამდენად, მნიშვნელოვანია, შესაბამისად მოდიფიცირდეს ზოგადად სილაბუსების გადამუშავების პროცესში შეფასების სისტემა, რაც გაფილტრავს როგორც ტექნიკურ შეცდომებს, ასევე ქულათა რანჟირებას გახდის უფრო გასაგებს სტუდენტებისათვის. შეფასების გზების დეტალური გამართული აღწერა, არამხოლოდ ლექტორისათვის არის ობიექტური შეფასების საფუძველი, არამედ სტუდენტსაც უნდა აძლევდეს საშუალებას, მკაფიოდ დაინახოს განსხვავება შეფასებებში და მიუსადაგოს საკუთარ ნაშრომს/ შეცდომებს.

სტუდენტების მხრიდან ინტერვიუზე დადასტურდა, რომ ისინი მოთხოვნის შემთხვევაში თითქმის ყოველთვის იღებენ უკუკავშირს ლექტორებისგან საკუთარი შედეგების თაობაზე. უკუკავშირის მოთხოვნას სტუდენტები ძირითადად ახორციელებენ ლექტორთან ელექტრონული ფოსტით კომუნიკაციის გზით.

სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება:

ბაკალავრიატის დებულებით გათვალისწინებულია სტუდენტის უფლება, გამოცდების წესის შესაბამისად, საგამოცდო ნაშრომის გადამოწმება მოითხოვოს საგნის ლექტორთან. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან ინტერვიუზე აღინიშნა, რომ გასაჩივრების სხვაგვარი მექანიზმი არ არსებობს, ხოლო სტუდენტს ყოველთვის შეუძლია სასამართლო წესით გაასაჩივროს/იდავოს შეფასებაზე.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიციით, გადამოწმების შესაძლებლობა არ უტოლდება გასაჩივრების უფლებას, ხოლო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა, გარდა იმისა, რომ ეფექტურ და მყისიერ შედეგზე ვერ იქნება ორიენტირებული, წარმოადგენს კანონმდებლობით მინიჭებულ და არა უსდ-ს მიერ უზრუნველყოფილ შესაძლებლობას. შესაბამისად, მიზანშეწონილია, უსდ-მ შეიმუშავოს შიდა გასაჩივრების ეფექტური, მიუკერძოებელი და სამართლიანი მექანიზმი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის დებულება
- სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია სილაბუსებში მკაფიოდ და ამომწურავად იყოს გაწერილი შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. სტუდენტს უნდა ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია, თუ როგორ, რა კრიტერიუმებითა და მეთოდებით შეფასდება.
- მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების შედეგების გასაჩივრების ეფექტური, სამართლიანი და მიუკერძოებელი მექანიზმის არსებობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - საბაკალავრო პროგრამა) აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის

დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე კონსულტაციასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ მხარდაჭერას.

მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტების შინაარსიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტებს უნდა სთავაზობდეს საკონსულტაციო მომსახურებას, რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, სტუდენტები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ საკონსულტაციო სერვისების მიღების შესაძლებლობის შესახებ, რომლებსაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სთავაზობს. მნიშვნელოვანია, რომ საკონსულტაციო პროცესში ჩართული იყოს როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალი.

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები იღებენ კონსულტაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში სტუდენტთა კონსულტირებისა და მხარდაჭერაში მონაწილეობს უნივერსიტეტის არაერთი თანამშრომელი.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან (<http://freeuni.edu.ge/>) მიიღონ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების შესახებ. ვებ-გვერდზე სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის შესახებ ინფორმაცია.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ისეთი აქტები, როგორიცაა: უნივერსიტეტის წესდება, ბაკალავრიატის დებულება, გამოცდების ჩატარების წესი, სტუდენტის ეთიკის კოდექსი, შიდა მობილობის წესი, გარე მობილობის წესი, ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ეთიკის საბჭოს რეგლამენტი, დისციპლინური საბჭოს რეგლამენტი, საქმის წარმოების ინსტრუქცია, რეკომენდაციები და ინსტრუქციები სტუდენტებისთვის, ასევე სხვა შიდასამართლებრივი აქტები. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე განთავსებულია ბოლო პერიოდის გამოწვევების შესაბამისი ისეთი სამართლებრივი აქტები, როგორიცაა - დისტანციურად გამოცდის ჩატარების დროებითი ზოგადი წესები და პირობები, რექტორის ბრძანება საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ახლადჩარიცხულ სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია ეგზავნება კორპორატიულ ელექტრონულ ფოსტაზე.

სტუდენტს შესაძლებლობა აქვს უნივერსიტეტის ვებ-გვერდის გარდა, ფაკულტეტის დეკანატისაგან, სტუდენტებსა და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახურისგანაც მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების, სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების (მაგალითად, დაგეგმილი კონფერენციების, შიდასაუნივერსიტეტო და სხვადასხვა ფონდების მიერ დაწესებული/გამოცხადებული სტიპენდიების, გაცვლითი პროგრამების და სხვ.) შესახებ ინფორმაცია.

უნივერსიტეტის განმარტებით, კონსულტაციების და დახმარების მიღება სტუდენტს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლია ფაკულტეტის დეკანატში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და სასწავლო უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებში.

აღსანიშნავია, რომ საჭირო ინფორმაციის მიღება სტუდენტს შეუძლია, აგრეთვე, კორპორატიული ელექტრონული ფოსტის საშუალებით. სტუდენტენტები ელექტრონული ფოსტით აქტიურ კომუნიკაციაში არიან დეკანატის თანამშრომლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამაში ჩართულ პერსონალთან.

კომუნიკაციის საშუალებებად უნივერსიტეტში ეფექტურად გამოიყენება სოციალური ქსელებში შექმნილი სპეციალური ღია/დახურული ჯგუფები და გვერდებიც. ამავდროულად კონსულტაციის საშუალებებად ასევე გამოიყენება სატელეფონო შეტყობინებები და ზარებიც.

სტუდენტთა კონსულტირებისა და აუცილებელი მხარდაჭერის პროცესში ჩართულნი არიან უნივერსიტეტის შემდეგი თანამშრომლები და სტრუქტურული რგოლები: სამართლის ფაკულტეტის დეკანი, საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი და კოორდინატორი, სტუდენტთა დეკანი, სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახური, აღნიშნული სამსახურის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ოფისი და სხვ.

სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისების მხარდაჭერის ჭრილში უნდა გამოიყოს სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახური (შემდგომში - „სამსახური“). უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამსახურს ხელმძღვანელობს სტუდენტების დეკანი. ამვე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სამსახური ახდენს სტუდენტებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებას. ამ ფუნქციებთან ერთად სამსახური ასრულებს შემდეგ ფუნქციებს: ეხმარება სტუდენტებს სხვადასხვაგვარი პრობლემების მოგვარებაში, რაც შეიძლება წარმოექმნას სწავლის პერიოდში; ორგანიზებას უწევს სტუდენტურ ღონისძიებებს; ახორციელებს საერთაშორისო გაცვლით და სხვა პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის კოორდინაციას; მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და ახდენს შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას; კოორდინაციას უწევს ზოგად საუნივერსიტეტო საგნებს; კოორდინაციას უწევს აბიტურიენტების მოზიდვის მარკეტინგულ კამპანიას.

ამრიგად, უნივერსიტეტის სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახური სტუდენტთა დეკანის ხელმძღვანელობით მთავარი რგოლია სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისების განხორციელების მიმართულებით.

აღსანიშნავია აგრეთვე, სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის როლიც. ზემოაღნიშნული დებულების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესების მართვის სამსახური კოორდინაციას უწევს სტუდენტებს და აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა საკითხებზე.

აღსანიშნავია საკონსულტაციო სფეროში ელექტრონული საშუალებების როლიც. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტის პირადი ელექტრონული გვერდი, რომლიდანაც

სტუდენტს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია ჩაბარებული და რეგისტრირებული (მიმდინარე) საგნების შესახებ, მიღებული შეფასებების შესახებ. აქვეა განთავსებული სტუდენტის მონაცემები. აღსანიშნავია, რომ სტუდენტის ელექტრონულ გვერდს არ აქვს მიმოწერის ფუნქცია არც ადმინისტრაციასთან და არც საგნის ლექტორთან.

უნივერსიტეტში, სტუდენტთა კონსულტაციის პროცესში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალიც. განათლების სფეროში მოქმედი რეგულაციებით, პერსონალი ვალდებულია განახორციელოს საკონსულტაციო მომსახურება.

ვიზიტის შედეგად გამოირკვა, რომ აღნიშნული ვალდებულება პრაქტიკაშიც ხორციელდება. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აუცილებელი კონსულტაცია პირადი შეხვედრების გზით მიიღონ აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან. გარდა ამისა, პერსონალი სტუდენტებს უწევს კონსულტაციას სოციალური ქსელისა და სატელეფონო კომუნიკაციის გზით.

ელექტრონული საშუალებებით მატერიალური რესურსების დათვალიერების დროს გამოირკვა, რომ უნივერსიტეტში არ არის გამოკრული აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციის საათების შესახებ ინფორმაცია. ასეთი ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფმა ვერც უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე მოიძია. აღსანიშნავია, რომ პანდემიის მძვინვარების პერიოდში პირადი შეხვედრების არარსებობა უნივერსიტეტის პერსონალთან ლოგიკურად უნდა ჩაითვალოს. შესაძლოა სწორედ ეს გახდა აღნიშნული ინფორმაციის სათანადოდ განთავსების არარსებობის მიზეზი. თუმცადა, ამგვარი ინფორმაციის განთავსება, ჩვეულებრივ არაპანდემიურ პირობებში, აუცილებლად უნდა ჩაითვალოს.

უნივერსიტეტის შრომის შინაგანაწესის მე-11 მუხლი მოიცავს უნივერსიტეტის ლექტორის ვალდებულებას, აქტიურ კომუნიკაციაში იყოს სტუდენტებთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის არაერთი სტრუქტურული რგოლი რეალურად უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას. ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის განმარტებით, კომუნიკაციის აქტიურ საშუალებად გამოიყენება სოციალური ქსელი „ფეისბუქი“ და კორპორატიული მეილი. ამასთან ერთად, კომუნიკაციის გავრცელებული ფორმებია სატელეფონო და პირადი კონსულტაციები.

აღსანიშნავია უნივერსიტეტის როლი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა კარიერული განვითარების მხარდაჭერის საკითხშიც. უნივერსიტეტში დასაქმებასთან დაკავშირებული კონსულტაციები სტუდენტს შეუძლია მიიღოს სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახურის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ოფისში. ოფისი ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს: მიმდინარე ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის დაინტერესებულ პირთათვის მიწოდება, ტრენინგების ორგანიზება CV-ის შედგენასა და გასაუბრების ტექნიკებზე, დასაქმების ფორუმის ორგანიზება, ინფორმირება სხვადასხვა კონკურსის, სტაჟირების და პროექტის შესახებ.

უნივერსიტეტი თანამშრომლობს არაერთ პარტნიორ დამსაქმებელ ორგანიზაციასთან.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა უნივერსიტეტის რამდენიმე პარტნიორ დამსაქმებელს. ინტერვიუს ესწრებოდნენ MG Law-ს, BLC Law Office-ის, საქართველოს ბანკის, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის და EY Georgia-ს წარმომადგენლები.

MG Law-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კომპანიამ მიიღო მონაწილეობა არათუ პროგრამის დახვეწაში, არამედ მის შექმნაში. კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით უნივერსიტეტი მოწოდებულია დახვეწოს პროგრამა და გაითვალისწინოს დამსაქმებლის შენიშვნები.

BLC Law Office-ის წარმომადგენელმა განმარტა, რომ კომპანია მეხუთე წელია თანამშრომლობს უნივერსიტეტთან და წელიწადში ორჯერ მაინც მართავს სტაჟიორებისა და თანაშემწეების კონკურსს. კომპანიას წარმოდგენა აქვს პროგრამის კურიკულუმზე. კომპანიისთვის მნიშვნელოვანია, კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ პრაქტიკული უნარები. ამ გამოწვევას, კომპანიის მოსაზრებით, კურსდამთავრებულები წარმატებით ართმევენ თავს. ბოლო 4-5 წლის განმავლობაში აყვანილი სტაჟიორებისა და თანაშემწეების უმეტესობა კომპანიას თავისუფალი უნივერსიტეტიდან ჰყავდა.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტები გამოირჩევიან ცოდნით, რის გამოც დამატებითი შტატიც კი დაუშვიათ მის სამსახურში ასაყვანად.

EY Georgia-ს წარმომადგენლის განმარტებით, მათაც აუყვანიათ სამსახურში უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. კომპანიის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო პროგრამის შემუშავებაშიც.

პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ერთ-ერთი მსხვილი ბანკის წარმომადგენელიც.

საერთო ჯამში, უნივერსიტეტის როლი კარიერული მხარდაჭერის მიმართულებით თვალსაჩინოა.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ უნივერსიტეტმა შეისწავლა შრომის ბაზარი. კვლევის შედეგები აისახა შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში, რომელშიც ასახულია შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა, პრობლემები და ძირითადი გამოწვევები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის წესდება;
- აკადემიური პერსონალისა და სწავლების პროცესში მონაწილე სხვა პირების ეთიკის კოდექსი;
- შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულება;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის შრომის შინაგანაწესი;

○ სამუშაო აღწერილობები; ○ შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, სტუდენტის პირადი ელექტრონული გვერდი აღიჭურვოს ისეთი საჭირო ფუნქციით, როგორიცაა ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან მიმოწერის ფუნქცია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ სტუდენტთა დეკანი, სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახური და აღნიშნული სამსახურის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ოფისი წარმოადგენს აკრედიტაციის აღნიშნული სტანდარტის პრაქტიკაში განხორციელების გარანტს.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორები, რომლებიც პრაქტიკულ საქმიანობასაც ახორციელებენ, რაც მისასაღმებელია, ვინაიდან თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის საუკეთესო შედეგებს იძლევა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 7 პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი, 8 ასისტენტ-პროფესორი და 46 მოწვეული ლექტორი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა არის 69.

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე ირიცხება 259 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა არის 69/259 (დაახლოებით 0.2664). აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის 23/259. აღნიშნული მონაცემები საბაკალავრო საფეხურისათვის საკმაოდ მაღალ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, ეს თანაფარდობა საკმარისია პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად.

პროგრამის ხელმძღვანელს უდავოდ აქვს კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რათა გაუძღვეს დასახული მიზნებისა და შედეგების განხორციელებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა საკმარისია და ფარავს სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა მოქნილია და ზრუნავს პერსონალის კეთილდღეობაზე.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მეტწილად დაკომპლექტებულია დოქტორის და მასთან გათანაბრებული აკადემიურ ხარისხთან შესაბამისი ხარისხის მქონე პირებით.

აკრედიტაციის აღნიშნული სტანდარტის შინაარსიდან გამომდინარე, სასურველია, აკადემიური პერსონალი იყოს სამეცნიერო მიმართულებით სათანადოდ აქტიური, რათა, საჭიროების შემთხვევაში, უფრო სრულყოფილად შეძლოს სტუდენტისათვის ხელმძღვანელობა სხვადასხვა სახის სამეცნიერო კვლევებსა და აქტივობებში. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი ბიოგრაფიებით ირკვევა, რომ აკადემიური პერსონალის უმეტესობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამეცნიერო თვალსაზრისით აქტიურია. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათ განხორციელებული აქვთ სამეცნიერო კვლევები და გამოქვეყნებული აქვთ ნაშრომები.

- აღსანიშნავია ისიც, რომ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაწილი მხოლოდ უცხოურ (ინგლისურ) ენაზეა წარმოდგენილი. მაგალითისათვის, პერსონალის ზოგიერთი წარმომადგენლის ავტობიოგრაფიები (CV) მხოლოდ ინგლისურ ენაზეა წარმოდგენილი. მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნას ხარისხის კონტროლის გარე მექანიზმის წარმოების ენა და რეზიუმეები და სხვა დოკუმენტები უნივერსიტეტში ინახებოდეს სახელმწიფო ენაზე. ამასთან, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ავტობიოგრაფიები (CV) რადიკალურად განსხვავებული ფორმისაა. სახელმწიფო ენაზე, განახლებული და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ერთიანი ფორმის

რეზიუმეები გაუმარტივებდა უნივერსიტეტს, დააკვირდეს პერსონალის განვითარებას და, საჭიროების შემთხვევაში, ხელი შეუწყოს მას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების პირადი საქმეები; ○ ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს აკადემიურ/მოწვეულ პერსონალის ხარისხის განვითარების ხელშეწყობასა და მონიტორინგს. პერსონალთან ურთიერთობას რეგულარული ხასიათი აქვს. უსდ-ს შემუშავებული აქვთ სტუდენტთა გამოკითხვის სისტემა, რისი მეშვეობითაც იღებენ უკუკავშირს.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიმართულებით თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში მთავარი რგოლი არის აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულების მე-8 მუხლის თანახმად, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი:

- უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მეთოდების შემუშავებას;
- ხელს უწყობს უნივერსიტეტში სწავლების მეთოდების, ტექნოლოგიებისა და შეფასების სისტემის თანამედროვე მიდგომების დანერგვას და განვითარებას;
- ახორციელებს აკადემიური პერსონალისთვის სილაბუსების და შეფასების სისტემის მეთოდოლოგიურად გამართვაში ხელშეწყობას;
- აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის სწავლების მეთოდოლოგიებისა და შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყოფს ტრენინგების და ვორქშოპების ჩატარებას;
- უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ელექტრონულ სივრცეში სილაბუსების განთავსებას;
- მონაწილეობს აკადემიური პერსონალის შესარჩევ საჩვენებელ ლექციებში, საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსების შემუშავების პროცესში.

უნივერსიტეტს ასევე შემუშავებული აქვს პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები. აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი შეიმუშავებს შემდეგ მექანიზმებს:

- ყოველი სემესტრის დასაწყისში ატარებს ტრენინგებს, აცნობს ახლად არჩეულ აკადემიურ პერსონალს სილაბუსების შემუშავების, დაწერის მეთოდოლოგიას, სწავლებისა და სწავლის თანამედროვე პრინციპებსა და სტრატეგიებს, ეხმარება

კურსისთვის შესაბამისი შეფასების სისტემის, ცოდნის შემოწმების ფორმების შემუშავებაში, რომელიც უნდა ასახავდეს და ზომავდეს სასწავლო კურსში პერსონალის მიერ შემუშავებულ სწავლის შედეგებს.

- ქმნის ვორქშოფების საორიენტაციო შეხვედრების სტრუქტურას და გეგმას, რომელიც გულისხმობს აკადემიური პერსონალის დამხმარებას სილაბუსების გამართულ მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფაში, კურსისთვის რელევანტური შეფასების სისტემის შემუშავებაში, შეფასების მეთოდების ჩამოყალიბებას სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების და მიდგომების შესაბამისად.
- იყენებს ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულ კვლევის შედეგებს, რის საფუძველზეც ავლენს აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებულ სწავლების მეთოდებში სუსტ მხარეებს, შეიმუშავებს სამუშაო შეხვედრების გეგმას შესაბამისი სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად.
- ადამიანური რესურსების განვითარების მენეჯერთან ერთად შეიმუშავებს საორიენტაციო შეხვედრების განრიგს, რომლითაც ხელს უწყობს ახლად არჩეული აკადემიური პერსონალის ინტეგრირებას საუნივერსიტეტო სივრცეში.
- არსებული აკადემიური პერსონალის შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის სემესტრულად გეგმავს სამუშაო სემინარებს, სადაც მათთან ერთად განიხილავს, აანალიზებს და გამოავლენს პერსონალის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდების, სტრატეგიების, ცოდნის შემოწმების ფორმების სუსტ და ძლიერ მხარეებს, აცნობს მათ განათლების სფეროში ასრულებულ თანამედროვე ტენდენციებს, ხელს უწყობს თვითგანვითარების მოტივაციის ამაღლებაში.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მხრიდან ხდება პერსონალის სამეცნიერო აქტივობის მონიტორინგიც. უნივერსიტეტის მხრიდან მეცნიერის ყოველწლიური საქმიანობა ფასდება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ინსტიტუტების მიხედვით შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- ცოდნის ფონდის მიერ გაწეული დაფინანსება
- მეცნიერის მიერ წლის განმავლობაში მოპოვებული გრანტების მოცულობა და რაოდენობა
- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და ფართის ათვისება
- Impact Factor - იან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა და რეიტინგი
- მეცნიერის ციტირების ინდექსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- გამოქვეყნებული წიგნები, სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები
- სასწავლო პროცესში ჩართულობა (აკადემიური დატვირთვა წლის განმავლობაში, საათების რაოდენობა)

• წლის განმავლობაში დოქტორანტების ხელმძღვანელობა და დაცული დისერტაციების რაოდენობა აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს ეტაპზე გამოირკვა, რომ აკადემიური პერსონალი აქტიურადაა ჩართული კვლევით საქმიანობაში, პერიოდულად ჩატარებულ კონფერენციებსა და ღონისძიებებში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სასწავლო კურსთან დაკავშირებით სტუდენტთა მხრიდან პედაგოგების შეფასება ხორციელდებოდა მიზეზულ შემთხვევებში. მაგალითად 58 სტუდენტიანი ჯგუფიდან მხოლოდ 3-მა განახორციელა პედაგოგის შემოწმება. შესაბამისად, მიზანშეწონილია ისეთი მუშა მექანიზმის დანერგვა, რომელიც გაზრდის სტუდენტთა მხრიდან პედაგოგების შეფასებას, შესაბამისად ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მხრიდან აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. ვფიქრობთ, ამ სტანდარტის კონტექსტში, სტუდენტთა მხრიდან პედაგოგთა შეფასების მოქმედი მექანიზმის არსებობა სწორედ უნივერსიტეტის მხრიდან პერსონალის განვითარების მხარდაჭერას ემსახურება. საერთო ჯამში, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმი. ამასთან, დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე, ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.	მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა/გეგმა; ○ შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულება ○ პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი და სხვა) შეფასებისა და შედეგების პერსონალის პროფესიულ განვითარებაში გამოყენების დოკუმენტი; ○ ინტერვიუების შედეგები. რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
---	--

ო ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში, სტუდენტთა მხრიდან პედაგოგების შეფასება ხორციელდება მიზერულ შემთხვევებში. მაგალითად, 58 სტუდენტისანი ჯგუფიდან მხოლოდ 3-მა განახორციელა პედაგოგის შეფასება. შესაბამისად, სასურველია ისეთი მექანიზმის დანერგვა, რომელიც გაზრდის პედაგოგების შეფასებაში ჩართული სტუდენტების რაოდენობას, შესაბამისად ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მხრიდან აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დადებითად ფასდება. აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული აუდიტორიები და ა.შ. აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისა და კვლევისათვის. უნივერსიტეტი აღჭურვილია სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი აუდიტორიებით. უნივერსიტეტს აქვს სასამართლო დარბაზი, სადაც

სტუდენტებს უტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები, მოდელირებული სასამართლო პროცესები, რაც მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში გამოყოფილია კეთილმოწყობილი სივრცე, რომელშიც სტუდენტს შეუძლია მოცდა ლექციათა შუალედში. ასევე, უნივერსიტეტში არის სპეციალური სტუდენტთა საკონსულტაციო-სამუშაო სივრცე (რომელიც პანდემიასთან დაკავშირებით დროებით არ მუშაობს), რომელშიც სტუდენტს შეუძლია სხვადასხვა პროექტებზე მუშაობა, ჯგუფური შეხვედრების ორგანიზება და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისთვის და კვლევისთვის. რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი ელექტრონულად მოძებნა. ბიბლიოთეკაში დაცულია სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. აღსანიშნავია რომ ბოლო პერიოდის გამოწვევების გათვალისწინებით უნივერსიტეტმა უზრუნველყო სასწავლო ლიტერატურის სრული მოცულობით გაციფრულებაზე. შესაბამისად, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს შინიდანაც გაეცნოს მისთვის საჭირო ლიტერატურას. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის განმარტებით წიგნების გაციფრულება მოხდა ავტორებთან, ზოგ შემთხვევაში კი გამომცემლობებთან შეთანხმებით. ამგვარი მიდგომა მისასალმებელია.

აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც სამკითხველო დარბაზში და ასევე დისტანციურად, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ბიბლიოთეკის განყოფილებაში განთავსებულია ისეთი უცხოენოვანი მონაცემთა ბაზები, როგორიცაა HeinOnline, Scopus, ScienceDirect და სხვ. ბიბლიოთეკის მხრიდან ტარდება ტრენინგებიც აღნიშნული სამეცნიერო ბაზის გამოყენებაზე.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ საკანონმდებლო მაცნეს მომხმარებელი გააქტიურებულია ბიბლიოთეკაში, თუმცა აქვე განმარტეს, რომ ერთდროულად მხოლოდ სამ მომხმარებელს შეუძლია ამ ბაზით სარგებლობა. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს ისეთი ვერსია, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტების უფრო ფართო რაოდენობას ისარგებლოს ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე შინიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინფრასტრუქტურის ადგილზე დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს ისეთი ვერსია, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტების უფრო ფართო რაოდენობას ისარგებლოს ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე შინიდან.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტში გამოყოფილია საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი სპეციალური სივრცე, რომელშიც სტუდენტს შეუძლია მოცდა ლექციათა შორის შუალედში. ასევე, უნივერსიტეტში მისასალმებელია, სპეციალური სტუდენტთა საკონსულტაციო-სამუშაო სივრცე (რომელიც პანდემიასთან დაკავშირებით დროებით არ მუშაობს), რომელშიც სტუდენტს შეუძლია სხვადასხვა პროექტებზე მუშაობა, ჯგუფური შეხვედრების ორგანიზება და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო პროგრამებს დამოუკიდებელი ბიუჯეტები არ გააჩნიათ. თუმცა, სამართლის საბაკალავრო პროგრამისთვის არსებობს შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის წყაროები. პროგრამისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები განხორციელებადია, ეკონომიკურად

მიღწევადია. ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები მხარდაჭერილია უნივერსიტეტის მიერ და უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის შემოსავლებით. თავისუფალ უნივერსიტეტს ასევე გააჩნია ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტები სამეცნიერო პროექტების დასაფინანსებლად (სრული შემოსავლების 5,6%) და შემოსავლები სხვადასხვა სასერთიფიკატო პროგრამებიდან (სრული შემოსავლების 3,9%).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის ბიუჯეტი ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
-----------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
---	---	--	--	--

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სააკრედიტაციო ვიზიტის დროს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ვიზიტის დროს გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება. თვითშეფასების ანგარიშში განმარტებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ზოგადი პარადიგმა, მათ შორის „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ ციკლი, თუმცა უსდ-ს მიერ ნაწილობრივ იქნა წარმოდგენილი შიდა ხარისხის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტები. კერძოდ, არ იქნა მოწოდებული შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები და ამ შედეგების გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტი; აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასების შედეგები. თუმცა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“-ის ციკლის პრაქტიკაში რეალური არსებობა. პროგრამის თვითშეფასებიდან ირკვევა, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი ითვალისწინებს აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობას, თუმცა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში ძალიან სუსტად არის ინტეგრირებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების შეფასების წესი ○ პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები; ○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;

○ გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია, შეიქმნას შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგებისა და განხორციელებული ცვლილებების დოკუმენტაცია
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშში უსდ აღნიშნავს, რომ „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი მიესალმება peer review პროცესს. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესში გამოთქმულ რეკომენდაციებსა და რჩევებს უნივერსიტეტი განიხილავს და მხოლოდ კრიტიკული განხილვისა და დისკუსიის შემდეგ ითვალისწინებს ისეთ რეკომენდაციებსა და რჩევებს, რაც ხელს შეუწყობს ამ კონკრეტულ პროგრამაზე სწავლის ხარისხის უზრუნველყოფასა და განვითარებას.“

უსდ-ს თვითშეფასების ანგარიშში მტკიცებულებებში უწერია, რომ გარე ხარისხის შეფასება დასტურდება „უნივერსიტეტში არსებული დოკუმენტაციით, გასაუბრებით უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და პროგრამის ხელმძღვანელებთან“, რომელზეც მათ დოკუმენტაცია არ წარმოდგენიათ, ასევე ინტერვიუების დროს მათ მიერ არ მოხდა არანაირი მტკიცებულების წარმოდგენა და საუბარი ხარისხის გარე შეფასებაზე. სამართლის საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიღებული აქვს 2011 წელს, რაც შეიძლება მიაწინებდეს მისი გარე ხარისხის კონტროლის გარკვეული მექანიზმის არსებობაზე. თუმცა, გარე ხარისხის შეფასების სტანდარტის დაკმაყოფილებისათვის არსებითია, აღნიშნული შეფასების პროცესში ობიექტური გარეშე პირის/ექსპერტის შესაბამისი დასკვნის არსებობა და დასკვნის საფუძველზე არსებული რეკომენდაციების შესაბამისი ასახვა პროგრამაში. უსდ-ს არ აქვს გარე ხარისხის შეფასების შედეგები, შესაბამისად არც მათ საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები. ინტერვიუს შედეგებმაც ვერ გამოავლინა გარე შეფასების არსებობის ფაქტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ◦ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: ◦ საბაკალავრო პროგრამის სტანდარტის დაკმაყოფილების მიზნებისათვის მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა იზრუნოს გარე ხარისხის შეფასებაზე, რათა პროგრამა ფასდებოდეს მესამე პირის მხრიდან პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ◦ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ◦ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება ორი ძირითადი მიდგომა: პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდები. არაპირდაპირი გაზომვის მეთოდი გულისხმობს უკუკავშირის სხვადასხვა საშუალების გამოყენებას: სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას და ამ შედეგების ანალიზის გზით პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების გაზომვას და, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესებას. თუმცა შიდა შეფასების ინსტრუმენტების საშუალებით შეგროვებული მონაცემების ანალიზი ხორციელდება სუსტად, გამოკითხულ პირთა რაოდენობა და კვლევის მეთოდები არ იძლევა რეალური სიტუაციის შეფასების საშუალებას, არ ხდება მონაცემთა ანალიზი და არ არსებობს ამ მონაცემების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების კუთხით გამოყენების რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან პრაქტიკა. ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ ეს უნივერსიტეტის სუსტი მხარეა.

უსდ-ს მიერ არ იქნა წარმოდგენილი პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები (გარდა გამოკითხვის ფორმებისა) და ამ შედეგების გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- გამოკითხვის შედეგები;
- შეფასების ფორმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, დაიხვეწოს უსდ-ის მიერ სტუდენტთა გამოკითხვის ჩატარების წესი და მეთოდოლოგია, რათა ის ასახავდეს რეალურ სურათს და მოხდეს ამ შედეგების ანალიზი - მიზანშეწონილია, შეიქმნას პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგებისა და ამ შედეგების გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოიყენება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა; - სასურველია, მოხდეს მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენება, რათა განხორციელდეს პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
-----------	------------------------------	---------------------------------------	---	--------------------------------------

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები			✓	
---	--	--	---	--

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს თავისუფალი
უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: სამართლის
საბაკალავრო პროგრამა, პირველი საფეხური

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 61

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები			✓	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო ბოგვერაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნონა ზუბიტაშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა

ილია წიკლაური



სახელი, გვარი, ხელმოწერა

ლევან მოსახლიშვილი